30

# საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

# ა ქ ტ ი

№ 51/100 „ 2 ” ივნისი 2010 ქ. თბილისი

ეგზ. N2

ფინანსური აუდიტის აქტი
(2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი)
(01.01.09-01.01.10)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

## სარჩევი

*ნაწილი I. - შესავალი* ............ 3

*შემოკლებანი* ............ 3

*საქმიანობის მოკლე მიმოხილვა* ............ 3

*ნაწილი II. - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები* ............ 5

*ნაწილი III.- ძირითადი ტექსტი* ............ 6

1. *მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა*

1.1. *წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება* ............ 6

*1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით* ............ 9

*1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა* ............ 17

*1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა* ............ 17

*2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)* ............ 21

*ნაწილი IV.- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი* ............ 28

*აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:* ............ 28

## შესავალი

**თემატური აუდიტის საფუძველი** - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 2 მარტის N 12/43 ბრძანება.

**აუდიტის ობიექტი** - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N30.

**აუდიტის ჯგუფი** - მთავარი აუდიტორი ირაკლი ყენია (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები: მანანა დავითური, მაკა დიხამინჯია და სოსო ჩიქობავა.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

**აუდიტის ვადა** - 04/03/2010 – 7/04/2010 (დაწყება-დამთავრება).

**შემოკლებანი:**

სამინისტრო - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

წლიური საბიუჯეტო კანონი - „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი

**საქმიანობის მოკლე მიმოხილვა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი რგოლი, რომლის მმართველობის სფერო, ამოცანები და უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N 541 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტროს მმართველობის ძირითადი სფეროებია:

- სამართალშემოქმედება და ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, სისტემატიზაცია და სახელმწიფო რეგისტრაცია;
- კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფო ვალის აღებასთან, კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე სახელმწიფო ვალის აღების და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ ხელშეკრულებათა, აგრეთვე საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შესრულების დადასტურება (იურიდიული დასაბუთება);
- არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნის სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობა ან/და სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული სხვა აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურება, საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა და ამ სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება;

- კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიატის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება;
- სახელმწიფო საარქივო საქმიანობის განხორციელება;
- კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
- კანონით დადგენილ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარის სტატუსით მონაწილეობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სფეროები.

სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა საქართველოს პროკურატურა.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია: ა) საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; ბ) „საქართველოს კანონთა წიგნისა" და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" რედაქცია; გ) საქართველოს ნოტარიუსთა პალატა; დ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; ე) სამოქალაქო რეესტრის სააგენტო; ვ) საქართველოს ეროვნული არქივი; ზ) აღსრულების ეროვნული ბიურო; თ) თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო (ლიკვიდირებულია 2009 წლის 1 აგვისტოდან).

გაწეული ხარჯების ანალიზიდან გამომდინარე, წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტების მიხედვით 2009 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. *პრიორიტეტი - ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა*

მომზადდა ინფრასტრუქტურა ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათებისა და ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად; დახლის პრინციპით გარემონტდა ძველი ტერიტორიული სამსახურები; ტერიტორიულ სამსახურებში დამონტაჟდა ფოტოჯიხურები; დაინსტალირდა ცენტრალური და დუბლირებული სერვერული ცენტრი; ამოქმედდა ინტეგრირებული ქსელი;

2. *პრიორიტეტი - სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად*

გარემონტდა ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროების ოფისები და ქვეყნის სხვადასხვა რაიონში აღმასრულებელთა სამუშაო ოთახები; შემუშავდა და დაინერგა სააღსრულებო საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებით შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები;

3. *პრიორიტეტი - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა*

საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოებსა და არბიტრაჟებში შეტანილ სარჩელებთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით შესყიდული იქნა იურიდიული (საადვოკატო) მომსახურებები, ხოლო მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით გაწეული იქნა დამატებითი ხარჯები იურიდიული მომსახურებების ღირებულების ანაზღაურებისათვის;

4. *პრიორიტეტი - საქართველოს პროკურატურის რეფორმირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად*

ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები არსებული სისხლის სამართლის ერთიანი სტატისტიკური სისტემის შექმნისათვის და სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული მართვის სისტემის შესამუშავებლად, ასევე მუშაკთა ტრეინინგები, რეფორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის მიზნით.

43

## აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. სამინისტროს ბალანსზე „სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანების“ საბალანსო ანგარიშზე ირიცხებოდა 2,055.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც ეხება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად საერთაშორისო სასამართლო (საარბიტრაჟო) დავებთან დაკავშირებულ - საკონვერსიო ანგარიშზე (აკრედიტივებზე) რიცხულ დავალიანებას. აღნიშნული დავალიანება ნაცვლად დებიტორული დავალიანების ანგარიშზე ასახვისა, უნდა ასახულიყო N1214 საბალანსო ანგარიშზე „დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში“ და ამავდროულად ბალანსის ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში (პირობითი მოთხოვნები). ამასთან, უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულების კონვერტირება ეროვნული ვალუტით არ განხორციელებულა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მოქმედი დადგენილი ოფიციალური კურსით. შედეგად, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება აღირიცხა 37.1 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით-----------------------------------------------------------------------გვ.25

2. სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისისა და მარტვილის ტერიტორიული სამსახურების ოფისების გაქურდვის შედეგად დანაკლისმა (კომპიუტერული ტექნიკა) შეადგინა 10.1 ათასი ლარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული დანაკლისი ანაზღაურებულია სადაზღვეო კომპანია „იმედის“ მიერ. ამასთან, დანაკლისი ასახულია საცნობარო მუხლში, როგორც „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“, მაშინ როცა, არ მომხდარა მისი ბალანსიდან ჩამოწერა. შედეგად, მოთხოვნები გაზრდილია 10.1 ათასი ლარით------------------------------------------------------------------------------------------------------------------------გვ.25

## ძირითადი ტექსტი

### 1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტში ცალკე ორგანიზაციული კოდით გათვალისწინებული იყო მის მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო, რომელიც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ლიკვიდირებული იქნა 2009 წლის 1 აგვისტოდან, რის შედეგად ბიუროზე გამოყოფილი ასიგნებიდან აუთვისებელი თანხა გადატანილი იქნა სამინისტროს აპარატის „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლში.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებათა დამტკიცებული გეგმა განესაზღვრა 55,450.0 ათასი ლარით. აღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების (11.07.09 წ. და 04.12.09 წ.) შედეგად დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 70,536.9 ათასი ლარი, საიდანაც 4,521.3 ათასი ლარი არის კრედიტებისა და გარანტების სახით გამოყოფილი დაფინანსება:

ათას ლარებში

| დასახელება | დამტკიც. გეგმა | პირველი ცვლილება | სხვაობა (4-3) საზ.სახს | მე-2 ცვლილება | | | სხვაობა (7-4) საზ.სახს | სულ სხვაობა (6-3) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | მ.შ.საზ.სახ. | მ.შ.კრ. და გრან-ბი | | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| ***იუსტ.სამინისტრო - სულ*** | ***55,450.0*** | ***64,015.1*** | ***8,565.1*** | ***70,536.9*** | ***66,015.6*** | ***4,521.3*** | ***2,000.5*** | ***15,086.9*** |
| **ხარჯები:** | 44,243.0 | 53,613.1 | 9,370.1 | 57,424.9 | 55,613.6 | 1,811.3 | 2,000.5 | 13,181.9 |
| შრომის ანაზღაურება | 21,909.0 | 21,709.0 | -200.0 | 21,709.0 | 2,1709.0 | 0.0 | 0.0 | -200.0 |
| საქონელი და მომსახურება | 8,708.0 | 18,433.6 | 9,725.6 | 20,434.1 | 20,434.1 | 0.0 | 2,000.5 | 11,726.1 |
| სუბსიდიები | 13,204.0 | 13,048.5 | -155.5 | 14,859.8 | 13,048.5 | 1,811.3 | 0.0 | 1,655.8 |
| სოც.უზრუნველყოფა | 90.0 | 90.0 | 0.0 | 90.0 | 90.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 332.0 | 332.0 | 0.0 | 332.0 | 332.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| *არაფინ.აქტ-ის ზრდა* | 10,907.0 | 10,352.0 | -555.0 | 13,062.0 | 10,352.0 | 2,710.0 | 0.0 | 2,155.0 |
| *ვალდებულებების კლება* | 300.0 | 50.0 | -250.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | -250.0 |
| ***იუსტ.სამინისტრო-აპარატი*** | ***17,670.0*** | ***26,845.6*** | ***9,175.6*** | ***28,846.1*** | ***28,846.1*** | ***0.0*** | ***2,000.5*** | ***11,176.1*** |
| **ხარჯები:** | 12,180.0 | 2,1905.6 | 9,725.6 | 23,906.1 | 23,906.1 | 0.0 | 2,000.5 | 11,726.1 |
| შრომის ანაზღაურება | 4,409.0 | 4,409.0 | 0.0 | 4,409.0 | 4,409.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საქონელი და მომსახურება | 7,659.0 | 17,384.6 | 9,725.6 | 19,385.1 | 19,385.1 | 0.0 | 2,000.5 | 11,726.1 |
| სუბსიდიები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოც.უზრუნველყოფა | 60.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 52.0 | 52.0 | 0.0 | 52.0 | 52.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| *არაფინ.აქტ-ის ზრდა* | 5,490.0 | 4,940.0 | -550.0 | 4,940.0 | 4,940.0 | 0.0 | 0.0 | -550.0 |
| *ვალდებულებების კლება* | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ***საქ.პროკურატურა*** | ***18,869.0*** | ***18,669.0*** | ***-200.0*** | ***18,669.0*** | ***18,669.0*** | ***0.0*** | ***0.0*** | ***-200.0*** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ხარჯები:** | 18,859.0 | 18,659.0 | -200.0 | 18,659.0 | 18,659.0 | 0.0 | 0.0 | -200.0 |
| შრომის ანაზღაურება | 17,500.0 | 17,300.0 | -200.0 | 17,300.0 | 17,300.0 | 0.0 | 0.0 | -200.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,049.0 | 1,049.0 | 0.0 | 1,049.0 | 1,049.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოც.უზრუნველყოფა | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 280.0 | 280.0 | 0.0 | 280.0 | 280.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| *არაფინ.აქტ-ის ზრდა* | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ***სსიპ-ები*** | ***18,611.0*** | ***18,450.5*** | ***-160.5*** | ***22,025.5*** | ***18,450.5*** | ***3,575.1*** | ***0.0*** | ***3,414.5*** |
| **ყოფ.მიწის.მართვის დეპ.დავალიანება** | ***300.0*** | ***50.0*** | ***-250.0*** | ***50.0*** | ***50.0*** | ***0.0*** | ***0.0*** | ***-250.0*** |
| *ვალდებულებების კლება* | *300.0* | *50.0* | *-250.0* | *50.0* | *50.0* | *0.0* | *0.0* | *-250.0* |
| **უცხ.მიღ.დაფ.წყარ. და გრანტ.განსახორ.პროექ-ზე გათვ.ასიგნებები** | ***0.0*** | ***0.0*** | ***0.0*** | ***946.2*** | ***0.0*** | ***946.2*** | ***0.0*** | *946.2* |
| **ხარჯები:** | *0.0* | *0.0* | *0.0* | *946.2* | *0.0* | *946.2* | *0.0* | *946.2* |
| სუბსიდიები | *0.0* | *0.0* | *0.0* | *946.2* | *0.0* | *946.2* | *0.0* | *946.2* |

გარდა აღნიშნულისა, სამინისტროს წლიური საბიუჯეტო ასიგნებები გაზრდილია 1 150.3 ათასი ლარით. მათ შორის: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებით - 110.7 ათასი ლარის (100.7 ათასი ლარი-რუსეთის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს ინტერესების დასაცავად იურიდიული მომსახურების შესყიდვის მიზნით და 10.0 ათასი ლარი-სამინისტროს საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის თანამშრომლის უცხო ენის კურსებზე გამგზავრებასთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთში ქ. ლონდონში მგზავრობის, სწავლისა და ცხოვრების ხარჯების დაფინანსების მიზნით) და წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი ასიგნებებით - 1,039.6 ათასი ლარის ოდენობით. შედეგად, სამინისტროს დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 71,687.2 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

| დასახელება | დამტკიცებული გეგმა | | | დაზუსტებული გეგმა | | | სხვაობა (5-2) საზ.სახ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მ.შ.საზ.სახს | მ.შ.კრ.და გრანტები | სულ | მ.შ.საზ.სახს | მ.შ.კრ.და გრანტები | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| ***იუსტიციის სამინისტრო*** | ***70,536.9*** | ***66,015.6*** | ***4,521.3*** | ***71,687.2*** | ***67,165.9*** | ***4,521.3*** | ***1,150.3*** |
| **ხარჯები:** | 57,424.9 | 55,613.6 | 1,811.3 | 52,645.4 | 50,834.1 | 1,811.3 | -4,779.5 |
| შრომის ანაზღაურება | 21,709.0 | 21,709.0 | 0.0 | 18,331.0 | 18,331.0 | 0.0 | -3,378.0 |
| საქონელი და მომსახურება | 20,434.1 | 20,434.1 | 0.0 | 19,159.8 | 19,159.8 | 0.0 | -1,274.3 |
| სუბსიდიები | 14,859.8 | 13,048.5 | 1,811.3 | 14,544.6 | 12,733.3 | 1,811.3 | -315.2 |
| სოც.უზრუნველყოფა | 90.0 | 90.0 | 0.0 | 140.0 | 140.0 | 0.0 | 50.0 |
| სხვა ხარჯები | 332.0 | 332.0 | 0.0 | 470.0 | 470.0 | 0.0 | 138.0 |
| *არაფინ.აქტ-ის ზრდა* | 13,062.0 | 10,352.0 | 2,710.0 | 18,135.2 | 15,425.2 | 2,710.0 | 5,073.2 |
| *ვალდებულებების კლება* | 50.0 | 50.0 | 0.0 | 906.6 | 906.6 | 0.0 | 856.6 |
| **იუსტ.სამინისტრო-აპარატი** | ***28,846.1*** | ***28,846.1*** | ***0.0*** | ***32,653.5*** | ***32,653.5*** | ***0.0*** | ***3,807.4*** |
| **ხარჯები:** | 23,906.1 | 23,906.1 | 0.0 | 22,309.7 | 22,309.7 | 0.0 | -1,596.4 |
| შრომის ანაზღაურება | 4,409.0 | 4,409.0 | 0.0 | 3,869.0 | 3,869.0 | 0.0 | -540.0 |
| საქონელი და მომსახურება | 19,385.1 | 19,385.1 | 0.0 | 18,145.8 | 18,145.8 | 0.0 | -1,239.3 |
| სოც.უზრუნველყოფა | 60.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 52.0 | 52.0 | 0.0 | 234.9 | 234.9 | 0.0 | 182.9 |
| *არაფინ.აქტ-ის ზრდა* | 4,940.0 | 4,940.0 | 0.0 | 9,487.1 | 9,487.1 | 0.0 | 4,547.1 |
| *ვალდებულებების კლება* | 0.0 | 0.0 | 0.0 | 856.6 | 856.6 | 0.0 | 856.6 |
| ***საქ.პროკურატურა*** | ***18,669.0*** | ***18,669.0*** | ***0.0*** | ***15,801.0*** | ***15,801.0*** | ***0.0*** | ***-2,868.0*** |
| **ხარჯები:** | 18,659.0 | 18,659.0 | 0.0 | 15,791.0 | 15,791.0 | 0.0 | -2,868.2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 17,300.0 | 17,300.0 | 0.0 | 14,462.0 | 14,462.0 | 0.0 | -2,838.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,049.0 | 1,049.0 | 0.0 | 1,014.0 | 1,014.0 | 0.0 | -35.0 |
| სოც.უზრუნველყოფა | 30.0 | 30.0 | 0.0 | 80.0 | 80.0 | 0.0 | 50.0 |
| სხვა ხარჯები | 280.0 | 280.0 | 0.0 | 235.0 | 235.0 | 0.0 | -45.0 |
| *არაფინ.აქტ-ის ზრდა* | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 |
| ***სსიპ -ები*** | ***5,516.8*** | ***5,495.5*** | ***21.3*** | ***5,727.7*** | ***5,706.4*** | ***21.3*** | ***210.9*** |
| **ყოფ.მიწის.მართვის დეპ.დავალიანება** - ვალდ.კლება | ***50.0*** | ***50.0*** | ***0.0*** | ***50.0*** | ***50.0*** | ***0.0*** | ***0.0*** |
| **უცხ.მიღ.დაფ.წყარ. და გრანტ.განსახორ.პროექ-ზე გათვ.ასიგნებები** - სუბსიდიები | ***946.2*** | ***0.0*** | ***946.2*** | ***946.2*** | ***0.0*** | ***946.2*** | ***0.0*** |

დაზუსტებული ასიგნებების ფარგლებში სამინისტროს მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით განხორციელებულია როგორც კვარტალური, ისე შიდამუხლობრივი და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილება. სულ წარმოდგენილია წლის მანძილზე ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 40 ცნობა, აქედან 10 ეხება როგორც მუხლობრივ, ასევე ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებას - 5,186.5 ათასი ლარის ფარგლებში, რაც სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებების საერთო მოცულობის 7%-ს შეადგენს. ცვლილებების ძირითადი ნაწილი შეეხო „შრომის ანაზღაურების", „საქონლისა და მომსახურების" და „არაფინანსური აქტივების" მუხლებს. ამასთან, მთლიანი გადანაწილებული თანხის 87,7% მიმართულია სამინისტროს აპარატის „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლზე (სამინისტროს ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა):

ათას ლარებში

| N | შიდა მუხლობრივი და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილება | ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N | თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | **პროკურატურის** შრ.ანაზღ-ის მუხლიდან 2,000.0 ათასი ლარის გადატანა სამინისტროს **აპარატის** ადმ.კორპუსის მშენ-სთვის არაფინ. აქტივებში<br>**აპარატის** "საქ. და მომს"-დან არაფინანს. აქტ-ში 800.0 ათასი ლარის გადატანა | N 51 - 2.03.09 | 2,800.00 |
| 2 | **პროკურატურის** შრომის ანაზღ-დან 50.0 ათასი ლარის გადატანა სოც.უზრ-ისა და 50.0 ათასის გადატანა "საქ.და მომსახურების" მუხლში | N 252 - 3.06.09 | 100.00 |
| 3 | **სსიპ-აღსრულების ერ.ბიურო** -სუბსიდიიდან არაფინანსურ აქტივებში- სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობისა და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოსაწყობად რეგიონალური ოფისების სარემონტო სამუშ. და მატ/ტექ. გაუმჯობესებისათვის | N 414 - 31.07.09 | 70.00 |
| 4 | ლიკვიდირებულ **სსიპ-თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინ.ბიუროს** აუთვისებელი სუბსიდიის გადატანა **აპარატის** არაფინანსურ აქტივებში | N 456 - 17.08.09 | 7.10 |
| 5 | **აპარატის** "საქ. და მომსახ"-დან 50.0 ათასი ლარის გადატანა **სსიპ-სასწავლო ცენტრის** არაფინან.აქტ-ში-39.5 ათასი და სუბსიდიების მუხლში 10.5 ათასი ლარის | N 516 - 23.09.09 | 50.00 |
| 6 | **სსიპ-აღსრულების ერ.ბიუროს** სუბსიდიის მუხლიდან არაფინანსურ აქტივებში გადატანა | N 616 - 10.11.09 | 50.00 |
| 7 | **აპარატის** შრომის ანაზღ-ის მუხლიდან -540.0 ათასი და "საქონელი და მომსახურების" მუხლიდან 500.0 ათასი ლარის გადატანა არაფინანსურ აქტივებში<br>**პროკურატურის** შრ.ანაზღ-დან-570.0 ათასი, საქ.და მომსახ-დან-85.0 ათასი და სხვა ხარჯებიდან-45.0 ათასი ლარის გადატანა **აპარატის** არაფინანსურ აქტივებში | N 662 - 30.11.09 | 1,740.00 |
| 8 | **სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს** სუბსიდიის მუხლიდან არაფინანსურ აქტივებში გადატანა - ფოტოჯიხურების დროულად შემოტანისათვის | N 675 - 2 .12. 09 | 200.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | **პროკურატურის** შრ.ამაზღ-ის მუხლიდან **სსიპ-საჯარო რეესტრის ერ.სააგენტოს** არაფინანსური აქტივების მუხლში გადატანა | N 731 - 15 .12. 09 | 168.00 |
| 10 | **სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრის** არაფინანსური აქტივების მუხლიდან სუბსიდიის მუხლში გადატანა პრემირებისათვის | N 782 - 24 .12. 09 | 1.40 |
| | **სულ გადანაწილება** | | **5,186.50** |

2009 წელს ასიგნებათა გადანაწილება განხორციელებულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით დაწესებული ლიმიტის (10%) ფარგლებში.

ხარჯთაღრიცხვის ცვლილების დოკუმენტები შესაბამისობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 მარტის N189 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესით" განსაზღვრულ და ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნებთან. თუმცა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N380-ით გათვალისწინებულ ცვლილებებზე (სამინისტროს აპარატის, პროკურატურის და ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის დავალიანების ორგანიზაციული კოდებით) აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულ ცვლილებებზე შესაბამისი მოთხოვნა და დასაბუთებულობა.

## 1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

იუსტიციის სამინისტროსათვის (ორგანიზაციული კოდი 26 00) 2009 წლის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად დაზუსტებული ასიგნებებისა (71,687.2 ათასი ლარი) და აღებული ვალდებულებების (71,267.6 ათასი ლარი) ფარგლებში 2009 წლის დაფინანსებამ 71,259.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2008 წლის დაფინანსების 46,2% შეადგენს და 82,868.0 ათასი ლარით ნაკლებია:



აღნიშნული გადახრები გამოწვეულია იუსტიციის სამინისტროში განხორციელებული მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებებით: ცალკე ჩამოყალიბდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო და სსიპ-ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელთა დაფინანსება 2008 წელს შეადგენდა შესაბამისად 97,919.8 ათას და 4,110.9 ათას ლარს. სამინისტროს აპარატის დაფინანსება 2008 წელთან შედარებით გაზრდილია 16,729.5 ათასი ლარით, ხოლო პროკურატურის (იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა, როგორც საქვეუწყებო დაწესებულება 2008 წლის სექტემბრიდან) დაფინანსება შემცირებულია 4,719.4 ათასი ლარით. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია სამინისტროს მიერ ცენტრალიზებული წესით განხორციელებული სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების შესყიდვებითა და მის მმართველობის სფეროში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებაზე-პროკურატურაზე გადაცემით. ასევე, მნიშვნელოვნად გაზრდილია სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაფინანსება (7,771.7 ათასი ლარით) გრანტების (3,553.8 ათასი ლარი) ჩათვლით. აღნიშნული უკავშირდება სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს-ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტის პერიოდში სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი 8 სსიპ-დან, სსიპ-თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო 2009 წლის 1 აგვისტოდან ლიკვიდირებული იქნა, ხოლო საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, რომელიც სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით 2009 წლის გადასახდელების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით ათას ლარებში:

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა | გადახდა 2009წ. | ფაქტობრივი ხარჯი | სხვაობა (4-3) | შესრულება მთლიან საკასოსთან (%) | სხვაობა დაზუს. და გადახდას შორის |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| ***იუსტ.სამინისტრო*** | **71,687.2** | **71,259.4** | 56,956.5 | -14,302.9 | 100 | **427,8** |
| **ხარჯები:** | 52,645.4 | 52,250.5 | 56,956.5 | 4,705.0 | 73.3 | 394,9 |
| შრომის ანაზღაურება | 18,331.0 | 18,303.2 | 18,303.0 | -0.2 | 25.7 | 27,8 |
| საქონელი და მომსახურება | 19,159.8 | 18,902.6 | 19,955.4 | 1,052.8 | 26.5 | 257,2 |
| სუბსიდიები | 14,544.6 | 14,526.6 | 16,473.9 | 1,946.3 | 20.4 | 18,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 140.0 | 109.6 | 109.5 | -0.1 | 0.1 | 30,4 |
| სხვა ხარჯები | 470.0 | 408.5 | 309.7 | -98.8 | 0.6 | 61,5 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | 0.0 | 0.0 | 1,804.8 | 1,804.8 | 0.0 | 0 |
| ***არაფინანსური აქტ.ზრდა*** | 18,135.2 | 18,103.0 | 0 | 0 | 25.4 | 32,2 |
| ***ვალდებულებების კლება*** | 906.6 | 905.9 | 0 | 0 | 1.3 | 0,7 |

მათ შორის:

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა | გადახდა 2009წ. | ფაქტობრივი ხარჯი | სხვაობა (4-3) | შესრულება მთლიან საკასოსთან (%) | სხვაობა დაზუს. და გადახდას შორის |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| *იუსტიციის სამინისტროს აპარატი* | | | | | | |
| სულ: | **32,653.5** | **32,491.7** | 21,970.5 | | 100.0 | 161.8 |
| *ხარჯები:* | 22,309.7 | 22,148.9 | 22,016.5 | -132.4 | 68.2 | 160.8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 3,869.0 | 3,864.9 | 3,864.8 | -0.1 | 11.9 | 4.1 |
| საქონელი და მომსახურება | 18,145.8 | 18,033.8 | 18,000.0 | -33.8 | 55.5 | 112.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 60.0 | 58.0 | 58.0 | 0.0 | 0.3 | 2.0 |
| სხვა ხარჯები | 234.9 | 192.2 | 93.7 | -98.5 | 0.6 | 42.7 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | | | 439.8 | | | |
| *არაფინანსური აქტ. ზრდა* | 9,487.1 | 9,486.7 | 0.0 | 0.0 | 29.2 | 0.4 |
| *ვალდებულებების კლება* | 856.6 | 856.1 | 0.0 | 0.0 | 2.6 | 0.5 |
| | | *საქართველოს პროკურატურა* | | | | |
| სულ: | **1,5801.0** | **15,585.0** | 16,661.2 | | 100 | 216.0 |
| *ხარჯები:* | 15,791.0 | 15,575.0 | 16,661.2 | 1,086.2 | 99.9 | 216.0 |
| შრომის ანაზღაურება | 14,462.0 | 14,438.2 | 14,438.3 | 0.1 | 92.6 | 23.8 |
| საქონელი და მომსახურება | 1,014.0 | 868.8 | 1,955.4 | 1,086.6 | 5.6 | 145.2 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 80.0 | 51.5 | 51.6 | 0.1 | 0.3 | 28.5 |
| სხვა ხარჯები | 235.0 | 216.3 | 216.0 | -0.3 | 1.4 | 18.7 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | | | 1,110.9 | | | |
| *არაფინანსური აქტ. ზრდა* | 10.0 | 10.0 | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 |
| | | *სსიპ-კანონთა წიგნისა და საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია* | | | | |
| სუბსიდიები | 70.0 | 70.0 | 70.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 |
| | | *სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო* | | | | |
| სულ: | **3,675.0** | **3,656.3** | | | 100.0 | 18.7 |
| სუბსიდიები | 3,175.0 | 3,162.6 | 3,252.3 | 89.7 | 86.5 | 12.4 |
| არაფინანსური აქტ.ზრდა | 500.0 | 493.7 | 0.0 | 0.0 | 13.5 | 6.3 |
| | | *სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* | | | | |
| სულ: | **1,522.3** | **1,522.3** | 1,242.8 | | 100.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 1,251.0 | 1,251.0 | 1,236.0 | -15.0 | 82.2 | 0.0 |
| არაფინანსური აქტ.ზრდა | 271.3 | 271.3 | 0.0 | 0.0 | 17.8 | 0.0 |
| | | *სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო* | | | | |
| სულ: | **169.0** | 168.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 1.0 |
| სუბსიდიები | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 |
| არაფინანსური აქტ.ზრდა | 168.0 | 168.0 | 0.0 | 0.0 | 100 | 0.0 |
| | | *სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო* | | | | |
| სულ: | **16,508.8** | 16,478.6 | 8,391.4 | | 100.0 | 30.2 |
| სუბსიდიები | 8848.1 | 8843.4 | 10,714.3 | 1,870.9 | 53.7 | 4.7 |
| არაფინანსური აქტ.ზრდა | 7660.7 | 7635.2 | 0.0 | 0.0 | 46.3 | 25.5 |
| | | *სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი* | | | | |
| სულ: | **100.0** | **100.0** | 61.9 | | 100.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 61.9 | 61.9 | 61.9 | 0.0 | 61.9 | 0.0 |
| არაფინანსური აქტ.ზრდა | 38.1 | 38.1 | 0.0 | 0.0 | 38.1 | 0.0 |
| | | *ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტი* | | | | |
| ვალდებულებების კლება | 50.0 | 49.9 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | *უცხოეთიდან მიღებული კრედიტები და გრანტები (მიწის კადასტ. და რეგისტრ. I და II პროექტი )* | | | | | |
| სუბსიდიები | 946.2 | 946.3 | 0 | | | -0.1 |

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების და მმართველობის სფეროში შემავალი ერთეულების მიხედვით საკასო შესრულებამ მთლიან გადახდებთან მიმართებით შემდეგი სახე მიიღო:







საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება, შესაბამისად, 18,103 ათასი და 905.9 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან აღნიშნულ ოპერაციებზე მიმართული სახსრები კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს. ასევე, ფაქტობრივ ხარჯში ასახულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ფიზიკური ცვეთა) 1,804.8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ნაერთ ანგარიშგებაში ფაქტობრივსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია:

_სამინისტროს აპარატი_ - საკასო ხარჯის მეტობა ფაქტობრივ ხარჯთან შედარებით („საქონელი და მომსახურების" მუხლში) გამოწვეულია სამინისტროს მიერ ცენტრალიზებული წესით განხორციელებული სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების შეძენებითა და მის მმართველობის სფეროში შემავალ- პროკურატურაზე გადაცემით. ამდენად, ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით გადახდების 45.6% უშუალოდ სამინისტროს აპარატზე მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ „სხვა ხარჯების" მუხლით გაწეული, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის 144.5 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან, ფაქტობრივ ხარჯში აისახა მხოლოდ 46.0 ათასი ლარი, ხოლო სხვაობა 98.5 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად „სხვა ხარჯების მუხლით "ფაქტობრივ ხარჯში ასახვისა, არასწორად იქნა ასახული „ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებების" ანგარიშში, რამაც გამოიწვია „სხვა ხარჯების" მუხლში საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის სხვაობა.[1]

_პროკურატურა_ - „საქონელი და მომსახურების მუხლში" (ოფისის ხარჯებისა და ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ქვემუხლებით), გასულ წელს შეძენილი მარაგების საანგარიშო პერიოდში ხარჯვითა და იუსტიციის სამინისტროს მიერ შეძენილი და უსასყიდლოდ გადაცემული მარაგების ფაქტობრივ ხარჯებში ასახვით.

_სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო_ - წლის დასაწყისში არსებული მარაგების ექსპლოატაციაში გადაცემით.

---

1 არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის (დანართი N13 - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია) მოთხოვნები, ასევე ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 44-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 50-ე მუხლის 93-ე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნები.

*სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - წლის დასაწყისში მარაგის არსებობით.

*სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო* - ფაქტობრივი ხარჯის მეტობა საკასოზე გამოწვეულია მიმდინარე წლის განმავლობაში არსებული მარაგის ექსპლოატაციაში გადაცემით.

*ინფორმაცია აუდიტის ობიექტის 2009 წლის გადახდებზე:*

**შრომის ანაზღაურება**

*-აპარატი* - 2009 წელს გაწეული 4,082.7 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯების 18,4%), შტატით მომუშავეთათვის ხელფასი შეადგენს 2,812.4 - ათას ლარს, პრემია - 1,052.6 ათას ლარს, ხოლო 159.8 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია შტატგარეშე მოსამსახურეთათვის (ასახულია „საქონელი და მომსახურების მუხლში"). სოციალური დახმარება შეადგენს -58.0ათას ლარს (ასახულია „სოც. უზრუნველყოფის" მუხლში) ( უმაღლესი ხელფასი - 3 540 ლარი, უმცირესი ხელფასი - 690 ლარი). 2009 წლის დეკემბრის მდგომარეობით ვაკანსია შეადგენდა 116 ერთეულს 128.9 ათასი ლარის ვაკანსიის ფონდით.

*- პროკურატურა* - გაწეული 14,605.2 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯების 93,7%), შტატით მომუშავეთათვის ხელფასი შეადგენს 11,292.6 - ათას ლარს, პრემია-3,145.7ათას ლარს, ხოლო 115.3 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია შტატგარეშე მოსამსახურეთათვის, სოციალური დახმარება გაწეულია 51.5 ათასი ლარის ოდენობით.(უმაღლესი ხელფასი - 3 910 ლარი, უმცირესი ხელფასი - 270 ლარი).

*-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო* - თანამდებობრივი სარგო-3,844.1 ათასი ლარი, პრემია-150.7 ათასი ლარი, სოციალური დახმარება-51.1ათასი ლარი. შტატგარეშე მოსამსახურეთათვის ანაზღაურება -757.3 ათასი ლარი (უმაღლესი ხელფასი - 2 060 ლარი, უმცირესი ხელფასი - 160 ლარი).

*-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - თანამდებობრივი სარგო - 891.5ათასი ლარი, პრემია-87.7ათასი ლარი. სოციალური დახმარება- 2.8 ათასი ლარი. (უმაღლესი ხელფასი - 3 000 ლარი, უმცირესი ხელფასი - 150 ლარი).

*-სსიპ-კანონთა წიგნისა და საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია* - თანამდებობრივი სარგო- 58.4 ათასი ლარი, პრემია-5.6 ათასი ლარი, სოციალური დახმარება - 6.0 ათასი ლარი. (უმაღლესი ხელფასი 1 760 ლარი, უმცირესი ხელფასი - 700 ლარი).

*-სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი* - თანამდებობრივი სარგო-36.6 ათასი ლარი, პრემია -0.5 ათასი ლარი, შტატგარეშეთა ანაზღაურება-5.5 ათასი ლარი. (უმაღლესი ხელფასი 1875 ლარი, უმცირესი ხელფასი 225 ლარი).

*-სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო* - თანამდებობრივი სარგო-2,458.5 ათასი ლარი, პრემია - 10.2 ათასი ლარი, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება-149.0 ათასი, სოციალური დახმარება -9.6 ათასი ლარი (უმაღლესი ხელფასი 4 750 ლარი, უმცირესი ხელფასი 480 ლარი).

**მივლინებები**

*-აპარატი* - 2009 წელს შეადგენდა 202.9 ათას ლარს. მათ შორის: ქვეყნის შიგნით - 24.2 ათასი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ -166.2 ათასი ლარი და ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის (სატელეფონო) ხარჯები - 12.5 ათასი ლარი.

*- პროკურატურა* - შეადგენდა 52.0 ათას ლარს: ქვეყნის შიგნით-40.1 ათასი და ქვეყნის გარეთ-11.9 ათასი ლარი.

*-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო* - 33.2 ათასი ლარი. გრანტიდან-4.4 ათასი ლარი.

*-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - 10.0 ათასი ლარი.

*-სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი* - 80 ლარი.

*-სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო* - 26.2 ათასი ლარი.

**ოფისის ხარჯები**

*-აპარატი* - 2009 წელს შეადგენდა - 1,356.1ათას ლარს. მათ შორის: სატელეფონო ბარათები - 160.5 ათასი ლარი (საიდანაც დეკემბრის თვეში გაწეულია 43.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი),

52

კავშირგაბმულობის ხარჯები-155.0 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯი – 183.1 ათასი ლარი; ინტერნეტმომსახურება-117.4 ათასი ლარი, ჟურნალ-გაზეთები, საფოსტო, სამეურნეო, პოლიგრაფიული მომსახურება-316.7 ათასი ლარი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი-136.4 ათასი ლარი; საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული აქსესუარები, კატრიჯები და მათი დატუმბვა-181.3 ათასი ლარი; მიმდინარე რემონტის ხარჯები-105.8 ათასი ლარი.

*- პროკურატურა* - სულ გაწეულია 650.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი: შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მოვლა-შენახვაზე-7.7ათასი, კომუნალურ მომსახურებაზე–587.5 ათასი ლარი, კავშირგაბმულობაზე - 33.5 ათასი, სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯი-21.7 ათასი ლარი.

*-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო* -სულ 3,324.4 ათასი ლარი. მათ შორის: საკანცელარიო საქონელი-106.0ათასი, პასპორტების შეძენა-2,374.4ათასი, ბლანკების შეძენა-389.7 ათასი, ჟურნალ-გაზეთები, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა, საოფისე ტექნიკის შეკეთება/დამონტაჟება-63.2 ათასი, კატრიჯები და სახარჯი მასალების დატუმბვა-139.2 ათასი, სატელეფონო მომსახურება-37.8 ათასი, კომუნალური ხარჯი – 196.5 ათასი ლარი, სხვადასხვა ოფისის ხარჯები- 50.3 ათასი ლარი (მათ შორის გრანტებიდან-32.9 ათასი ლარი).

*-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - სულ 209.0 ათასი ლარი. მათ შორის: საკანცელარიო საქონელი და ჟურნალ-გაზეთები-11.1 ათასი ლარი, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენა,-13.4 ათასი, საქალაქო სატელეფონო და ინტერნეტის მომსახურება -26.8ათასი, კომუნალური ხარჯი – 140.6 ათასი და სხვა დანაჩენი ოფისის ხარჯი – 17.2 ათასი ლარი.

*-სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი* - საკანცელარიო საქონელი 1.2 ათასი ლარი, სასტამბო-პოლიგრაფიული მომსახურება 1.2 ათასი ლარი, კვების ხარჯი- 4.5 ათასი ლარი.

*-სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო* - სულ გაწეულია 264.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი: ასტრა ბარათები და სატელეფონო მომსახურება-103.3 ათასი, რეტრანსლიატორით მომსახურება, ინტერნეტმომსახურება, კოდექსის განახლება, საფოსტო მომსახურება, პოლიგრაფიული მომსახურება-60.5 ათასი, საკანცელარიო საქონელი, სამეურნეო საქონელი, საოფისე ტექნიკა და ავეჯი-101.0 ათასი ლარი.

**წარმომადგენლობითი ხარჯები**

*-აპარატი* - 2009 წელს შეადგენდა 46.5 ათას ლარს: სტუმრების მიღების-41.2ათასი, სუვენირების შეძენის-2.8 ათასი და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებებისთავის-2.5 ათასი ლარი.

**სამედიცინო ხარჯები**

*-აპარატი* - დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯები შეადგენდა 2.3 ათას ლარს.

*-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯები შეადგენს- 2.3 ათას ლარს.

**ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები**

*-აპარატი* - 2009 წელს შეადგენდა 1,141.8 ათას ლარს: სატრანსპორტო გადაზიდვები-1.1ათას, ავტოტექმომსახურება-304.0ათას და საწვავის ხარჯი- 836.7 ათას ლარს.

*-პროკურატურა* - სულ გაწეულია 47.7ათასი ლარის ხარჯი: რემონტზე-7.7ათასი და საწვავზე-40.0 ათასი ლარი.

*-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო* - ავტოტექმომსახურება - 36.1ათასი, საწვავი-167.8 ათასი, რეცხვის ტალონები და საწვავის პლასტიკური ბარათები-0.5ათასი ლარის. საგრანტო თანხებიდან-საწვავი-47.6 ათასი ლარის.

*-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - სულ გაწეულია 32.8 ათასი ლარის ხარჯი: მიმდინარე რემონტის ხარჯი-5.2ათასი, საბურავები, აკუმულატორები, ზეთები- 1.1ათასი, საწვავი -26.5ათასი ლარის.

*-სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი* - საწვავი-1.3 ათასი ლარი, ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა/გადაყვანა)-1.9 ათასი ლარი.

_-სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო_ - სულ გაწეულია 220.5 ათასი ლარის ხარჯი: ავტოტექმომსახურება -46.1ათასი ლარი, ავტოსადგომით მომსახურება -6.3 ათასი ლარი, საწვავი -168.1 ათასი ლარი.

**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**

_-აპარატი_ - 2009 წელს შეადგენდა 15,124.3 ათას ლარს. მათ შორის: სათარჯიმნო მომსახურება და ინფორმაციის მიწოდება იმეილის საშუალებით-88.8 ათასი, ინფორმაციებისა და განცხადებების გამოქვეყნების, ექსპერტიზის, აუდიტორული მომსახურების, რეკლამის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის, კადრების გადამზადების ხარჯები – 75.1 ათასი ლარი, ფასიანი საჩუქრების შეძენა-22.8 ათასი და საშემოსავლო გადასახადი-12.1 ათასი ლარი, საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით შესყიდული საადვოკატო მომსახურება - 14,842.9 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო ასიგნებიდან 3,028.3 ათასი და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - 11,814.6 ათასი ლარი), სხვა დანარჩენი-50.7 ათასი ლარი.

_-პროკურატურა_ - სულ-3.4 ათასი ლარი: ფასიანი საჩუქრების გადაცემასთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადი-2.8ათასი, განცხადებების გამოქვეყნება-0.3ათასი და ცეცხლმაქრის შეძენა-0.4 ათასი ლარი.

_-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო_ - შენობა/ნაგებობის და სახანძრო დაცვაზე- 50.0ათასი ლარი, პასპორტების განბაჟება- 296.7 ათასი ლარი, გადაზიდვის, ტენდერისა და ინფორმაციის გამოქვეყნების, ბინის ქირავნობის, აუდიტორული მომსახურების, სასაწყობო და საბროკერო მომსახურების, კადრების მომზადების ხარჯები – 28.1 ათასი ლარი.

_-სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი_ - სასტუმროს/დარბაზის/რესტორნის მომსახურების ხარჯი - 6.4 ათასი ლარი, აუდიტორული მომსახურების ხარჯები- 2.5 ათასი ლარი.

_-სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო_ - ინფორმაციებისა და განცხადებების გამოქვეყნება - 2.3 ათასი ლარი, ექსპერტიზის ხარჯები - 12.0 ათასი ლარი.

_-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი_ - შენობა-ნაგებობების დაცვის და სახანძრო დაცვის ხარჯები - 9.6 ათასი ლარი.

**სხვა ხარჯები**

_-აპარატი_ - გაწეულია 192.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი: დასუფთავების მოსაკრებელი-8.3 ათასი, ავტომანქანის დაზღვევის ხარჯი-39.4ათასი და სასამართლო გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფის (აღსრულების) ხარჯები-144.5 ათასი ლარი.

_-პროკურატურა_ - სულ-216.3 ათასი ლარი: დაზღვევის ხარჯი-196.9 ათასი (მათ შორის საშემოსავლო გადასახადი-39.4 ათასი ლარი) და დასუფთავების მოსაკრებელი -19.4 ათასი ლარი.

_-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო_ - საგრანტო დაფინანსება (სემინარების და კონფერენციების)-18.5 ათასი ლარის.

_-სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი_ - უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული შენობის სავალდებულო დაზღვევის ხარჯი - 5.3 ათასი ლარი.

_-სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო_ - პოლიციელების დაზღვევა -9.6 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივები**

_-აპარატი_ - გაწეულია 9,486.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: 2 ავტომანქანის შეძენა-53.3 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკა-9.3ათასი, საოფისე ტექნიკა-138.0ათასი, საოფისე ავეჯი-28.7 ათასი, სათაო ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებული ექსპერტიზის, საზედამხედველო და საკონსულტაციო მომსახურებები-54.9 ათასი ლარი, სათაო ოფისის მშენებლობა (შპს"აკსმშენი")-9,186.7 ათასი ლარი, სხვადასხვა ხარჯი-15.8 ათასი ლარი.

_-პროკურატურა_ - სხვა მანქანა-დანადგარების შეძენა 10.0 ათასი ლარის (აჭარის ოლქის).

_-სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო_ - სულ გაწეულია 7,635.2 ათასი ლარის ხარჯი: ბიომეტრიული პასპორტების საბეჭდი ტექნიკა-4,803.2ათასი, საოფისე ავეჯი - 85.0 ათასი, კონდენციონერი-1.4 ათასი, ოფისებისათვის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები -82.4 ათასი,

საგრანტო დაფინანსებით: კაპიტალური რემონტი ოფისებისათვის -2,663.2 ათასი ლარის.

-*სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი* - სულ 271.3 ათასი ლარი: - ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა-195.5 ათასი, საოფისე ავეჯის შესყიდვა-10.5ათასი, მეტალოპლასტმასის ფანჯრების შეძენა-13.7ათასი, რკინის კარები-10.5 ათასი, საოფისე ტექნიკის შეძენა-10.5ათასი, სხვადასხვა ხარჯი-30.6 ათასი ლარის.

-*სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო* - სულ გაწეულია 493.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი: ავტომანქანების შესყიდვა 18.7 ათასი, კომპიუტერული ტექნიკა-57.1ათასი, საოფისე ტექნიკა-21.4ათასი, სამეთვალყურეო და ვიდეო სისტემები-31.4ათასი, ასაკინძი დანადგარები-2.3ათასი, საოფისე ავეჯი-1.8ათასი, პროექტორი-2.8ათასი, ლიფტი-50.0ათასი, სათაო ოფისის მშენებლობა - 295.9ათასი, გაზიფიცირების სამუშაოები-12.3 ათასი ლარის.

-*სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო* - ბათუმის იუსტიციის შენობის არქიტექტურული პროექტები-168.0ათასი ლარის.

-*სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი* - სულ გაწეულია 38.1 ათასი ლარის ხარჯი: კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა 35.0 ათასი ლარის, ტესტირების პროგრამის შეძენა-3.1 ათასი ლარის.

**ვალდებულებების კლება**

-*აპარატი* - გაწეულია 856.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე.

-*ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის* - გაწეულია 49.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი სახელფასო დავალიანების დაფარვაზე.

-*უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელ პროექტებზე* - გაწეულია 946.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი „სუბსიდიის" მუხლით. (განხილულია აუდიტის პროგრამის 1.4 საკითხში).

### *1.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:*

- დაცული იქნეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ასევე „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის №153 ბრძანების მოთხოვნები შესაბამისი მუხლების მიხედვით ხარჯების ასახვის შესახებ, კერძოდ:

  -ფასიანი საჩუქრების თანამშრომლებზე გადაცემასთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადი, ნაცვლად „საქონელი და მომსახურების" მუხლში ასახვისა და დაზღვევის საშემოსავლო გადასახადი, ნაცვლად „სხვა ხარჯების" მუხლში ასახვისა, გადახდილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლიდან;

  - სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯების ასახვა განხორციელდეს „სხვა ხარჯების" მუხლში, ნაცვლად „ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებების" ანგარიშში ასახვისა.

55

### 1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.

აუდიტის პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატს გამოეყო სახსრები საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შემდეგი ოდენობით:

1) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის N32 განკარგულების საფუძველზე - 2 950 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (4,911.8 ათასი ლარი). საკასო ხარჯმა 4,911.7 ათასი ლარი შეადგინა;

2) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის N33 განკარგულების საფუძველზე - 1 900 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარში (3,163.5 ათასი ლარი). საკასო ხარჯმა 3, 162.7ათასი ლარი შეადგინა;

3) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის N284 განკარგულების საფუძველზე - 672 300 ინგლისური გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში (1,650.3 ათასი ლარი). საკასო ხარჯმა 1,650.3 ათასი ლარი შეადგინა;

4) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 ივლისის N484 განკარგულების საფუძველზე - 1 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (2,000.5 ათასი ლარი). საკასო ხარჯმა 2,000.5 ათასი ლარი შეადგინა;

5) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N932 განკარგულების საფუძველზე - 60 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (100.8 ათასი ლარი). საკასო ხარჯმა 89.5 ათასი ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნული თანხები გამოყოფილი იქნა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოებსა და არბიტრაჟებში შეტანილ სარჩელებთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით შესყიდული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხარჯების დასაფარად.

სულ, იურიდიული მომსახურების დასაფინანსებლად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 11,826.8 ათასი ლარი, საიდანაც საკასო ხარჯმა 11,814.8 ათასი ლარი შეადგინა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 000 ლარი , საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ოქტომბრის N787 განკარგულებით, „2009-2011 წლებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის საკადრო შემადგენლობის შევსების, წვრთნისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 აგვისტოს N628 განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის თანამშრომლის უცხო ენის კურსებზე დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში, გამგზავრებასთან დაკავშირებით მგზავრობის, სწავლისა და ცხოვრების ხარჯების დასაფინანსებლად. საკასო ხარჯმა 8.5 ათასი ლარი შეადგინა.

ამდენად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშგებო პერიოდში სულ გამოიყო 11,836.8 ათასი ლარი, საიდანაც საკასო ხარჯმა შეადგინა 11, 823.1 ათასი ლარი.

### 1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით თავდაპირველად (30.12.2008წ) იუსტიციის სამინისტროსთვის საგრანტო დაფინანსება გათვალისწინებული არ ყოფილა. მოქმედი წესის თანახმად, გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული სახსრების სახაზინო კოდზე ფაქტობრივად ჩარიცხული დაფინანსების მიხედვით,

2009 წლის 4 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით სამინისტროს 2009 წლის ანგარიშგებაში აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებზე გათვალისწინებული ასიგნებები 4,521.3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის ორგანიზაციული კოდების მიხედვით:

ათას ლარებში

| ორგ.კოდი | დასახელება | გეგმა | ხარჯი | გადახრა |
|---|---|---|---|---|
| 26 00 | **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** | **4,521.3** | **4,491.5** | **29.8** |
| | სუბსიდიები | 1,811.3 | 1,807.0 | 4.3 |
| | *არაფინანსური აქტივები* | 2,710.0 | 2,684.4 | 25.6 |
| 26 06 | **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** | **21.3** | **21.3** | **0** |
| | არაფინანსური აქტივები | 21.3 | 21.3 | 0 |
| 26 09 | **სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო** | **3,553.8** | **3,523.9** | **29.9** |
| | სუბსიდიები | 865.1 | 860.7 | 4.4 |
| | *არაფინანსური აქტივები* | 2,688.7 | 2,663.2 | 25.5 |
| 26 12 | **უცხ. მიღ-ლი დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორც.საინვესტ.პროექტებზე გათვალისწინევული ასიგნებები** | **946.2** | **946.3** | **-0.128** |
| | სუბსიდიები | 946.2 | 946.3 | -0.128 |
| 26 12 01 | მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება- I- პროექტი (მ.შ. წ/წლებში შესრ-ლი სამუშ.აუნაზღ-ლი ნაწილის გადახდა) | 258.9 | 258.9 | -0.051 |
| | სუბსიდიები | 258.9 | 258.9 | -0.051 |
| 26 12 02 | მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება- II -პროექტი (მ.შ. წ/წლებში შესრ-ლი სამუშ.აუნაზღ-ლი ნაწილის გადახდა) | 687.3 | 687.4 | -0.077 |
| | სუბსიდიები | 687.3 | 687.4 | -0.077 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის და სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში გათვალისწინებულია შესაბამისად, 21.3 ათასი და 3,553.8 ათასი ლარის საგრანტო თანხები, რომელთა მიღებისა და ხარჯვის მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით ათას ლარებში:

**სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი**

| დონორი/ გრანტის მიზნობრიობა | გათვალისწ-ლი გრანტის ოდენობა | საწყისი ნაშთი 01.01.2009 | ფაქტ-ად მიღებული | ფაქტ-ად გახარჯული | ნაშთი 01.01.2010 |
|---|---|---|---|---|---|
| **საქ.იუნესკოს საქმეთა ეროვ.კომისია -** საქართველოს ფოტოარქივის ონლაინ კატალოგის/საინფორმაციო ბაზის და ეროვნული არქივის ვებ-გვერდის შექმნა (არაფინანსური აქტივების ზრდა) | **28.0** | **13.9** | **14.1** | **28.0** | **0** |

მთლიანი სახელშეკრულებო თანხიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვალის N 66 ბრძანებით დამტკიცებული „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის“ თანხმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში აღირიცხა 21,3 ათასი ლარის ოდენობით საგრანტო

დაფინანსება. ხოლო, გახარჯული გრანტის თანხის ნაწილი - 6,8 ათასი ლარის ოდენობით არ ასახულა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში.

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის მიერ მიღებული გრანტით შესყიდული იქნა: 6.7 ათასი ლარის - 3 ერთეული კომპიუტერი, ერთეული პრინტერი და 3 ერთეული უწყვეტი კვების ბლოკი. დარჩენილი 4.6 ათასი ლარი მიიმართა ფოტოდოკუმენტების გაერთიანებული მონაცემთა ბაზის შექმნასა და ფოტოდოკუმენტების პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ხოლო 16.6 ათასი ლარით შესყიდული გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიდან მიღებული გრანტიდან სუბსიდიის მუხლით გაწეულია 860.7 ათასი ლარის ხარჯი (შრომის ანაზღაურება- 756.4 ათასი ლარი, მივლინება - 13.8 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი - 33.9 ათასი ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 47.6 ათასი ლარი, სხვადასხვა ხარჯი - 9.0 ათასი ლარი).

| სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დონორი/<br>გრანტის მიზნობრიობა | გათვალისწ-ლი გრანტის ოდენობა | საწყისი ნაშთი 01.01.2009 | ფაქტ-ად მიღებული | ფაქტ-ად გახარჯული | ნაშთი 01.01.2010 |
| **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი** - პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილებისათვის ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტების დაბეჭდვა//2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების რეგისტრაცია და მათთვის შემცვლელი დოკუმენტების გაცემა, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაცია კოლექტიურ ცენტრებში. | 1 ,875.4 | 353.4 | 746.7 | 1,073.2 | 26.9 |
| **გერმანიის მთავრობის გრანტი -** სააგენტოს მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრისათვის ტექნუკური მოწყობილობების შეძენა და მონტაჟი | 2,716.1 | 0 | 2,450.7 | 2,450.7 | 0 |
| *სულ:* | ***4,591.5*** | ***353.4*** | ***3,197.4*** | ***3,523.9*** | ***26.9*** |

გრანტის არაფინანსური აქტივების ნაწილიდან 212.5 ათასი ლარის ოდენობით გახარჯულია: 110.7 ათასი ლარი-სააგენტოს ახმეტის ტერიტორიული სამსახურის ოფისის რემონტზე, 94.5 ათასი ლარი-სააგენტოს გორის ტერიტორიული სამსახურის ოფისის რემონტზე, 7.3 ათასი ლარი-სააგენტოს სენაკის ტერიტორიული სამსახურის ოფისის ავეჯისა და საოპერაციო დახლების შეძენაზე.

გარდა ფულადი გრანტისა, სააგენტოს მიერ საანგარიშგებო პერიოდში გაეროს განვითარების, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, ასევე ევროკავშირის პროგრამებით მიღებული იქნა სულ 3,349.1 ათასი ლარის სასაქონლო გრანტი, საიდანაც ძირითადი აქტივების ღირებულება (კომპიუტერული და ორგტექნიკა, რეგისტრაციის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემები, მათი ლიზენზიები და აპარატები, ასევე სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების შენობების 726.2 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები) შეადგენს სულ 3,326.6 ათას ლარს, ხოლო მატერიალური მარაგების (კომპიუტერული და ორგტექნიკის სახარჯი მასალა) – 22. 5 ათას ლარს.

სასწავლო ცენტრის მიერ გრანტების მიღებისა და ხარჯვის მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

| | | | | ათას ლარებში |
|---|---|---|---|---|
| დონორი/გრანტის მიზნობრიობა | სახელშეკრულებო თანხა | ჩარიცხვა | ხარჯი | უკან დაბრუნება |
| **შპს „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება“ (GTZ)** - სასწავლო ცენტრის შესახებ იმიჯბროშურების შექმნა და ბეჭდვა, ცენტრის ვებგვერდის განახლება | 8,7 | 6,3 | 6,3 | 0 |
| **GTZ** -ტრენინგები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისათვის | 52,2 | 52,2 | 42,3 | 9,9 |
| **GTZ** - ტრენინგი ქ.ქუთაისის მერიის თანამშრომლებისათვის | 33,5 | 33,3 | 27,9 | 5,4 |
| **GTZ** - ტრენინგი იუსტიციის სამინისტროს და მასში შემავალი სსიპების თანამშრ-თვის - | 75,5 | 70,6 | 56,4 | 14,2 |
| **„საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული“ ფონდი-( IRZ)** იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლების სემინარების მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრის ჩატარება | 4753 ევრო | 11,2 | 9,9 | 1,3 |
| სულ | 173,5 | 142,7 | 142,7 | 30,7 |

სასწავლო ცენტრს გარდა ფულადი გარანტისა, GTZ-გან მიღებული აქვს 9.1 ათასი ლარის სასაქონლო გრანტი (ლეპტოპი, სკანერი, პროექტორი).

სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტში ორგანიზაციული კოდით 2612 გათვალისწინებული იყო უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და დაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები (გეგმა - 946.2 ათასი ლარი), რომელიც შედგებოდა ორი პროექტისაგან, კერძოდ, მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება - I და II პროექტები (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა) - გრანტები და კრედიტები (ორგანიზაციული კოდები 261201 და 261202). ასიგნებების გეგმა შეადგენდა, შესაბამისად, 258.9 ათას და 687.3 ათას ლარს. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების თანახმად, I და II პროექტების მიმართებაში, ვალდებულება და გადახდა შეადგენდა, შესაბამისად, 258. 9 და 687.4 ლარს.

აუდიტის პროცესში საქართველოს ფინანსთა სამისნისტროს სახაზინო სამსახურიდან და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული გადახდები განხორციელებულია მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება - I და II პროექტების ფარგლებში გაწეული საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებების ასანაზღაურებლად, საიდანაც გრანტის ნაწილში გადახდილია - 643.7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტის - 302.7 ათასი ლარი.

2009 წელს, ნებაყოფლობითი ტრანსფერის სახით, სსიპ - საჯარო რეესტრის სააგენტოს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციული განვითარება და მომსახურების გაუმჯობესება“ ფარგლებში მიღებული აქვს 512.7 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივი, კერძოდ, 448.0 ათასი ლარის მანქანა-დანადგარი, 42.4 ლარის არამატერიალური ძირითადი აქტივი და 22.3 ათასი ლარის მატერიალური მარაგი.

59

*აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:*

სამინისტრომ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მმართველობის სფეროში არსებული სსიპ-ების საგრანტო ხელშეკრულებების რეგისტრაცია ფინანსთა სამინისტროში და შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება წლიურ საბიუჯეტო კანონში ხაზინის ერთიან ანგარიშზე ასახვის მიზნით.

## 2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

2009 წლის მანძილზე ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს კაპიტალი შეადგენდა 148,714.2 ათას ლარს.

| | | |
|---|---|---|
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - **წმინდა ღირებულება** | **შენიშვნა** | **47,536.1** |
| *ზრდა* | | |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | 1 | **71,259.4** |
| გრანტები | 1 | 29.9 |
| სხვა შემოსავლები | 1 | 59,047.2 |
| უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები | 2 | 12,608.0 |
| უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები | 2 | 1,552.9 |
| უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები | 2 | 541.8 |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები) | 3 | 181.7 |
| **სულ:** | | **145,220.9** |
| *შემცირება* | | |
| ხარჯები | 1 | 56,956.5 |
| უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები | 2 | 5,644.2 |
| უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები | 2 | 924.5 |
| უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები | 2 | 20.1 |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები) | 3 | 20.1 |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები | 4 | 1,029,6 |
| **სულ:** | | **64,595.0** |
| *წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში* | | **80,6256.0** |
| **ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - წმინდა ღირებულება** | | **128,162.1** |
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - **გაუნაწილებელი მოგება** | | **9,687.6** |
| **ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - გაუნაწილებელი მოგება** | **5** | **20,574.9** |
| **ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - დაუფარავი ზარალი** | **5** | **(11.4)** |
| **სულ კაპიტალი** | | **148,714.2** |

### შენიშვნა 1

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და ფაქტობრივი ხარჯის მდგომარეობა განხილულია 1.2. საკითხში.

გრანტის სახით ასახული 29.9 ათასი ლარი (ხაზინის ცნობა ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობის შესახებ) წარმოადგენს „სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს" მიერ გრანტის სახით მიღებული სახსრების 2010 წლის 1 იანვრისათვის აუთვისებელ თანხას (ნაშთს).

სხვა შემოსავლებში ასახული 59,047.2 ათასი ლარი წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ „სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს“ სხვადასხვა ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე გირაოს სახით შეტანილ ფულად თანხას (რომელიც 2009 წლის 1 სექტემბრიდან გადაეცა პროკურატურისაგან). აღნიშნული თანხები კანონის შესაბამისად სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს დაგეგმილ საბიუჯეტო ასიგნებების საკასო და ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება.

### შენიშვნა 2

არაფინანსური აქტივების მოძრაობა 2009 წლის განმავლობაში

ათას ლარებში

| არაფინანსური აქტივების დასახელება | შენ//ნაგე ბ-ბი | სატრან. საშ-ბი | სხვა მანქ/დან და ინვ-რი | არამატ ძირ.აქტ | დაუმთ .მშენ-ბა | სხვა ძირ აქტ-ბი | მიწა | არაწ. არამა ტ.აქტ -ბი | მატ. მარ-ები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 01.01.09წ.** | 23,936.9 | 3,208.7 | 14,040.9 | 1,185.5 | 0.0 | 464.0 | 6037.3 | 13.5 | 3.238.3 | 52,125.1 |
| **მიღება:** | | | | | | | | | | 41,235.4 |
| შესყიდვა | 3,161.4 | 72.1 | 6,296.6 | 207.7 | 6,152.9 | 138.3 | 0.0 | 219.1 | 6,690.0 | 22,938.1 |
| უსასყიდლოდ | 6,981.2 | 1,086.4 | 835.6 | 17.6 | 315.0 | 1.5 | 541.8 | 0.0 | 1,483.9 | 11,263.0 |
| გრანტებით | 722.8 | 0.0 | 738.7 | 1,909.30 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 69.0 | 3,439.8 |
| ნებაყოფლ. ტრანსფ. | 0.0 | 0.0 | 448.0 | 42.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 22.3 | 512.7 |
| სხვა ეკ. ნაკადები | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.1 |
| საკუთარი სახსრებით | 2.2 | 112.1 | 155.2 | 67.3 | 1,788.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 956.0 | 3,081.7 |
| **გასვლა:** | | | | | | | | | | 19,220.3 |
| უსასყიდლოდ | 3786.4 | 1,100.7 | 749.7 | 0.0 | 0.0 | 7.4 | 20.1 | 0.0 | 924.5 | 6,588.8 |
| სუბსიდიებით | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 3.8 | 3.8 |
| გრანტებით | 0.0 | 0.0 | 7.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 7.1 |
| სხვა ხარჯებით | 13.9 | 0.0 | 8.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 18.7 | 0.0 | 0.0 | 22.4 |
| სხვა ეკ. ნაკადები | 0.0 | 6.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 457.7 | 463.7 |
| საკუთ. სახ.კაპ.შექმნა | 303.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 303.3 |
| ძირ.კაპ-ის მოხმარება | 368.8 | 533.3 | 3707.8 | 515.9 | 1.5 | 73.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5,202.5 |
| საქ.და მომსახ-ბით | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 6,628.7 | 6,628.7 |
| **ნაშთი 01.01.2010წ.** | 30,332.1 | 2,839.3 | 18,042.0 | 2,913.9 | 8,255.4 | 523.2 | 6,559.0 | 230.6 | 4,445.2 | 74,140.2 |

2009 წელს, ნებაყოფლობითი ტრანსფერის სახით, სსიპ - საჯარო რეესტრის სააგენტოს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციული განვითარება და მომსახურების გაუმჯობესება" ფარგლებში მიღებული აქვს 512.7 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივი.

არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

### შენიშვნა 3

*წმინდა ღირებულების ზრდა* - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) -181.7 ათასი ლარი წარმოადგენს:

- იუსტიციის სამინისტროს აპარატის მიერ 108.1 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა ურთიერთშეთანხმების აქტით, საინკასო დავალების საფუძველზე თანხების ჩამოჭრა შპს

„თბილმეტროპოლიტენის“ სასარგებლოდ - 7.4 ათასი და შპს „მშენებელის“ სასარგებლოდ - 46.0 ათასი ლარის ოდენობით.

- მთავარი პროკურატურის მიერ 20.2 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა შედარების აქტებით (მათ შორის ოლქების).

*წმინდა ღირებულების შემცირება* - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) -20.1 ათასი ლარი წარმოადგენს:

- იუსტიციის სამინისტროს აპარატის მიერ - წინა წლის დებიტორული დავალიანების (623 ლარი) დაფარვა (მივლინება).

- პროკურატურის მიერ - 13.0 ათასი ლარის უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა და საცნობარო მუხლში ასახვა. წინა წლის დებიტორული დავალიანების დაფარვა (829 ლარის ბიუჯეტში დაბრუნება). 5.6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანების ჩამოწერა შედარების აქტით.

**შენიშვნა 4**

*წმინდა ღირებულების შემცირება* - ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები (3224 საბ.ანგარიშზე ასახული) წარმოადგენს ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხებსა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველყოფას. მათ შორის: იუსტიციის სამინისტროს აპარატი -1,006.7 ათასი ლარი (856,1 ათასი ლარი - წინა პერიოდის ვალდებულებების დაფარვა, 144.5 ათასი ლარი-მიმდინარე წლის აღსრულების თანხები, რომელიც ნაცვლად „სხვა ხარჯების“ მუხლში ასახვისა, არასწორად არის ასახული აღნიშნულ ანგარიშზე.[2] 6.1 ათასი ლარი - შპს „სპეცმშენის“ მიერ ბიუჯეტში დაბრულებული თანხა (წინა წლის-ანგარიშ/ფაქტურა ნაკლებ თანხაზე იყო წარმოდგენილი)). მთავარი პროკურატურის - 22.8 ათასი ლარის წინა წლის თანხების ბიუჯეტში დაბრუნება (22,5 ათასი ლარი- შპს „რონკოს მიერ“ და 0,4 ათასი ლარი-შპს „სპეცმშენის“ მიერ).

**შენიშვნა 5**

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ების მიერ საკასო ხარჯის გაწევის წყაროს, საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, წარმოადგენდა არასაბიუჯეტო შემოსავლებიც. სულ 2009 წელს საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 104,971.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 43,119.0 ათასი ლარი. შედეგად, წლის დასაწყიში არსებული ნაშთის გათვალისწინებით 2010 წლის 1 იანვრისათვის სსიპ-ების საბანკო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენდა 69,835.0 ათას ლარს.

2009 წელს დარიცხული შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, არასაბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 20,563.5 ათას ლარს.

**დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება:**

31/12/2009 ათას ლარებში

| დებიტორული დავალიანებები | შენიშვნა | ნაშთი 01/01/09 | ***სამინისტრო -მ/შ:*** | აპარატი | პროკურა-ტურა | ***სსიპ-ები- მ/შ:*** | აღსრ.ბიურო | ექ.არქივი | სამოქ.რეესტრი | საჯარო რეეს. ეჩ. სააგ-ტო | მაცნეს რედ-ცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | | 1,920.3 | 3,025.0 | 0.0 | 0.0 | 3,025.0 | 715.5 | 92.3 | 2,216.7 | 0.5 | 0.0 |

---

[2] არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის (დანართი N13 - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია) მოთხოვნები, ასევე ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 50-ე მუხლის 93-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

62

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები მივლინებით | | 8.7 | 6.1 | 4.9 | 0.0 | 1.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.3 | 0.0 |
| მოთხოვნები დანაკლისებით | 6 | 14.8 | 24.6 | 0.0 | 14.5 | 10.1 | 0.0 | 0.0 | 10.1 | 0.0 | 0.0 |
| ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები | | 0 | 18.8 | 0.0 | 0.0 | 18.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 18.8 | 0.0 |
| გადახდილი დღგ | | 838.4 | 140.3 | 0.0 | 0.0 | 140.3 | 140.3 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | | 297.7 | 260.6 | 0.0 | 0.0 | 260.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 254.1 | 6.5 |
| სხვა საგადასახადო აქტივი | | 73.2 | 163.5 | 14.5 | | 149.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 146.4 | 2.6 |
| მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით | | 25.1 | 98.1 | 0.0 | 0.0 | 98.0 | 0.0 | 17.2 | 0.0 | 80.8 | 0.0 |
| სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანება | 7 | 3,234.9 | 5,362.6 | 5,281.2 | 0.0 | 81.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 30.4 | 51.1 |
| *სულ* | | *6,413.1* | ***9,099.6*** | *5,300.6* | *14.5* | ***3,784.6*** | *855.8* | *109.5* | *2,226.8* | *532.3* | *60.2* |

წარმოდგენილი დოკუმენტაციით აუდიტის პერიოდში დებიტორული დავალიანება გაზრდილია 2,686.5 ათასი ლარით და 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 90,099.6 ათასი ლარი. მთლიანი დებიტორული დავალიანების 41,6% ირიცხება სსიპ-ებზე და შეადგენს 3,784.6 ათას ლარს. აქედან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოზე რიცხული დავალიანების წარმოშობა განაპირობა სხვადასხვა მომწოდებლებზე წინასწარ გადახდებმა, რომელთა დამოწმების ვადები 2010 წლის 1 იანვრისათვის არ იყო დამდგარი, ხოლო რაც შეეხება სსიპ-ებზე რიცხულ დანარჩენ დავალიანებას, იგი წარმოადგენს ძირითდად არასაბიუჯეტო დავალანებებს.

**შენიშვნა 6**

ცალკეული საბალანსო ანგარიშების შემოწმებით გაირკვა, რომ 2008 წელს ინვენტარიზაციით დაფიქსირდა პროკურატურის ბალანსზე რიცხული 12 ერთეული სატრანსპორტო საშუალების სააღრიცხვო მონაცემებთან სხვაობა. პროკურატურის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძიებასთან დაკავშირებით გატარებული ღინისძიებების შედეგად, 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფიქსირდებოდა 10 ერთეული (14 504 ლარის ღირებულების) სატრანსპორტო საშუალების დანაკლისი (1422 საბალანსო ანგარიშზე), აღნიშნული დანაკლისი აღირიცხებოდა 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობითაც. როგორც გაირკვა, დანაკლისების ყველა ფაქტზე, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისისა და მარტვილის ტერიტორიული სამსახურების ოფისების გაქურდვის შედეგად დანაკლისმა (კომპიუტერული ტექნიკა) შეადგინა 10.1 ათასი ლარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული დანაკლისი ანაზღაურებულია სადაზღვეო კომპანია „იმედის" მიერ. ამასთან, დანაკლისი ასახულია საცნობარო მუხლში, როგორც „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება" მაშინ როცა, არ მომხდარა მისი ბალანსიდან ჩამოწერა.[3]

**შენიშვნა 7**

მთლიანი დებიტორული დავალიანების 83.4% მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების" მუხლსა (60.6%) და არაფინანსური აქტივების შეძენაზე (22.8%). სამინისტროს ბალანსზე რიცხული („სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანების" ანგარიშზე) 5,362.6 ათასი ლარის დავალიანებიდან 5,281.2 ათასი ლარის დავალიანება ირიცხებოდა სამინისტროს აპარატზე: შპს „აკსმშენზე" - 3,225.9 ათასი ლარი (დავალიანების წარმოშობა

---

[3] არ არის შესრულებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.07 წლის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე- 3 პუნქტის, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 71-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

გამოწვეულია წინასწარი გადახდებით, რომელთა დამოწმების ვადები 2010 წლის 1 იანვრისათვის არ იყო დამდგარი) და საკონვერსიო ანგარიშზე (აკრედიტივზე) -2,055.3 ათასი ლარი.

შპს „აკსშენზე" სამინისტროს აპარატის ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობისათვის 2009 წლის განმავლობაში (13 მაისიდან) გადარიცხულია 9,186.7 ათასი ლარი. მათ შორის პირველად წინასწარი გადახდა განხორციელებულია 13 მაისს - 2,478.6 ათას ლარზე (დამოწმების ვადა-03/07/10) და შემდეგ 17 დეკემბერს - 1,835.0 ათას ლარზე (დამოწმების ვადა-30/06/10), ხოლო დანარჩენი 4,873.0 ათასი ლარის გადარიცხვა ხორციელდებოდა პერიოდულად 22 ივნისიდან 28 დეკემბრის ჩათვლით, სამუშაოთა შესრულებიდან გამომდინარე. აუდიტის პერიოდში შესრულებული სამუშაო შეადგენდა 5,960.8 ათას ლარს, შესაბამისად, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „აკსშენზე" რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 3,225.9 ათასი ლარი.

რაც შეეხება საკონვერსიო ანგარიშზე (აკრედიტივებზე) რიცხულ დავალიანებას 2,055.3 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნულთან დაკავშირებით აუდიტით დადგენილია შემდეგი:

საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად სასამართლო (საარბიტრაჟო) დავებთან დაკავშირებით (ყოველ კონკრეტულ საერთაშორისო დავასთან) საერთაშორისო იურიდიულ ფირმებთან (White&Case და LLP DLA Paper) გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სამინისტროს აკრედიტივები გახსნილი აქვს ეროვნულ ბანკში უცხოურ ვალუტაში. აკრედიტივებზე თანხების შევსების წყაროს წარმოადგენდა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები. აკრედიტივებზე თანხის დამატება ხორციელდებოდა იუსტიციის სამინისტროსა და ზემოაღნიშნულ ფირმებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. ანაზღაურების (აკრედიტივიდან თანხების ჩამოჭრის) საფუძველს წარმოადგენდა ზემოაღნიშნული ფირმების მიერ „დოიჩე" ბანკში (მომწოდებლების ბანკი) წარდგენილი ორიგინალი ანგარიშფაქტურა (ინვოისი), რომელიც დამტკიცებულია სამინისტროს მიერ. აკრედიტივებზე თანხების მოძრაობა განხორციელებულია ბუღალტრული გატარებებით: 1) დებეტი-1221, კრედიტი-4100. 2)დებეტი-1446, კრედიტი-1221. 3) დებეტი-7200, კრედიტი-1446.

აკრედიტივები, თავისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, ნაცვლად დებიტორული დავალიანების ანგარიშზე ასახვისა, უნდა ასახულიყო N1214 საბალანსო ანგარიშზე „დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში" და ამავდროულად ბალანსის ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში (პირობითი მოთხოვნები). ამასთან, უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულების კონვერტირება ეროვნული ვალუტით უნდა განხორციელებულიყო ეროვნულ ბანკში განთავსებული დეპოზიტებიდან თანხების ჩამოჭრის (ანაზღაურების) დროისათვის მოქმედი დადგენილი ოფიციალური კურსით. ამ მიზნით მოგება ან ზარალი ფლობიდან განისაზღვრება კონკრეტულ სააღრიცხვო პერიოდთან მიმართებით და გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას, რაც სამინისტროს მიერ არ იყო განხორციელებული. შედეგად, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება აღირიცხა 37.1 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. [4]

---

[4] – აკრედიტივების აღრიცხვა და უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულების კონვერტირება ეროვნული ვალუტით უნდა განხორციელებულიყო „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.07 წლის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის და 53-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

## კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება:

31/12/2009 | ათას ლარებში

| კრედიტორული დავალიანებები | შენიშვნა | ნაშთი 01/01/09 | **სამინის ტრო - მ/შ:** | აპარატი | პროკურ-რა | **სსიპ-ები-მ/შ:** | აღსრ.ბიურო | ერ.არქივ ი | საშოქ.რეეს ტრი | საჯარო რეეს_რი | მაცნეს რედ-ცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვალდებ-ები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | | 506.2 | **691.1** | 81.8 | 35.3 | **573.9** | 13.1 | 251.9 | 308.9 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | | 125.3 | **1528.6** | 0.0 | 0.0 | **1528.7** | 962.0 | 0.0 | 566.7 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | | 129.6 | **116.4** | 0.0 | 0.0 | **9.5** | 0.0 | 9.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელი დღგ | | 968.2 | **322.1** | 0.0 | 0.0 | **322.2** | 0.0 | 0.6 | 126.6 | 195.0 | 0.0 |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები | | 31.6 | **77.4** | 0.0 | 0.0 | **77.4** | 21.4 | 0.0 | 56.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახ-ლი ხელფასები შტატით მომუშ-თვის | | 885.0 | **839.1** | 0.0 | 0.0 | **55.5** | 0.0 | 55.2 | 0.0 | 0.0 | 0.3 |
| ვალდებულებები მივლინებით | | 70.2 | **70.2** | 0.5 | 31.4 | **0.6** | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.6 | 0.0 |
| სოციალური დაზღვევის ანარიცხები | | 27.1 | **21.5** | 0.0 | 0.0 | **21.5** | 0.0 | 21.3 | 0.0 | | 0.2 |
| დამქ-ის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოც. დახ-ით ვალდებულებები | | 186.2 | **178.0** | 0.0 | 0.0 | **4.0** | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 |
| სასამარ-ს ან/და ადმინ-ლი ორგ-ბის გადაწყ-ბის შესაბამისად ან სხვა დაკავებები | | 0.0 | **0.13** | 0.0 | 0.0 | **0.1** | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 |
| ვალდებ-ბი წინასწარ მიღ-ლი სხვა შემოს-ით | | 0.0 | **0.6** | 0.0 | 0.0 | **0.6** | 0.0 | 0.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახ-ლი საწ-ბი და ერთჯერადი შენატანები | | 1.5 | **2.9** | 0.0 | 0.0 | **2.9** | 0.0 | 2.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები | | 484.7 | **529.2** | 0.0 | 0.0 | **107.3** | 0.0 | 0.0 | 0.0 | 107.3 | 0.0 |
| *სულ* | | *3415.6* | ***4377.2*** | *82.3* | *66.7* | ***2704.0*** | *996.5* | *342* | *1058.2* | *307.0* | *0.5* |

კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 961.6 ათასი ლარით და 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 4,377.2 ათასი ლარი. მთლიანი კრედიტორული დავალიანების 61,8% მოდის სსიპ-ებზე და შეადგინა 2,704.0 ათასი ლარი (მათ შორის მოგების გადასახადი 1,528.7 ათასი ლარი). ხოლო, მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან 1,524.0 ათასი ლარი წარმოადგენს ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის დავალიანებას, რომელზედაც წლის დასაწყისში ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნება („ვალდებულების კლების" მუხლით) შეადგენდა 300.0 ათას ლარს, რაც წლის ბოლოს დამტკიცებული გეგმით შემცირებული იქნა 50.0 ათას ლარამდე (აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც დასაბუთებული იქნებოდა „ვალდებულების კლების" შემცირების მიზეზი).

სამინისტროს მიერ არ იყო განსაზღვრული შიდა აღრიცხვის წესებით ექსპლოატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების (რომელთა ასახვა „საქონლისა და მომსახურების გამოყენების" ანგარიშში განხორციელდა მათი ექსპლოატაციის გადაცემის მომენტში) ასახვა საცნობარო მუხლში.[5]

სამინისტროს აპარატში 2009 წელს, სამეურნეო წლის ბოლოს, მოქმედი წესის შესაბამისად არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ამ მხრივ, შედარების აქტები არ

---

[5] „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.07 წლის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის და 71-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

60

გაფორმებულა და შესაბამისად არ იყო გადაწყვეტილი საკითხი მათი შემდგომი აღრიცხვის/დაფარვის შესახებ.[6]

## 2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- სამინისტრომ უზრუნველყოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაციების ჩატარება, ხოლო კრედიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განხორციელდეს მათი დაფარვა უმოკლეს ვადაში და დამატებითი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად საანგარიშგებო წლის წინა პერიოდში წარმოქმნილი დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება აღირიცხოს ბალანსის ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში;
- საბუღალტრო სამსახურმა უზრუნველყოს ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით დროის განსაზღვრული მომენტისათვის აქტივების, ვალდებულებების და ნაკადების აღრიცხვა შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე; ამასთან, უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულების კონვერტირება ეროვნული ვალუტით უნდა განახორციელოს ეროვნულ ბანკში განთავსებული დეპოზიტებიდან თანხების ჩამოჭრის (ანაზღაურების) დროისათვის მოქმედი დადგენილი ოფიციალური კურსით და ამ მიზნით მოგება ან ზარალი ფლობიდან განისაზღვროს კონკრეტულ სააღრიცხვო პერიოდთან მიმართებით და გამოითვლოს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას;
- მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისზე თუ დამნაშავის დადგენა ვერ მოხერხდა, 1422 ანგარიშზე არსებული თანხები ჩამოიწერება ხარჯების შესაბამისი ანგარიშების დებეტთან კორესპოდენციით, ხოლო თუ დანაკლისებით მოთხოვნების თანხების ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ბიუჯეტური ან სხვა სახსრების შემთხვევაში შეიძლება ჩამოიწეროს აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების ანგარიშიდან (8200). ამავე დროს, უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები აიღება საცნობარო მუხლში (გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება-03);
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყოვლისმომცველობის და დამატებითი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, საბალანსო ერთეულების მიერ ექსპლოატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები აისახოს ბალანსის ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-10 და 71-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად;

## ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი

---

[6] აღნიშნულით არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ" დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

66

პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის

და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის

შემსრულებელი

ნ. ჩადუნ

**ნინო ჩადუნელი**

„02" 06 2010 წელი